საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 26 ოქტომბრის

დადგენილება №1751

სტუ-ის დებულებაში – „სადისერტაციო საბჭოსა და
დოქტორანტურის შესახებ“ ცვლილებების თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს სტუ-ის დებულება „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ და დაემატოს დანართი 2^2 წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 1);
2. შეიცვალოს სტუ-ის დებულების – „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ მე-3 დანართის („დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი”) მე-3 მუხლი და იგი ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 2);
3. წინამდებარე ცვლილება ძალაში შევიდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი 2[2]

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

(ამოქმედდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან)

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი	
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები	**30**	**30**	**-**	**-**	**-**	**-**
1		სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები	5					
2		კვლევის მეთოდები		5				
3		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები	10	10				
4	-	პირველი თემატური სემინარი	15					
5	-	მეორე თემატური სემინარი		15				
		კვლევითი კომპონენტები	**-**	**-**	**30**	**30**	**30**	**30**
1	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 1			15			
2	-	კოლოკვიუმი-1			15			
3	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 2				15		
4	-	კოლოკვიუმი-2				15		
5	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 3					15	
		კოლოკვიუმი-3					15	
6	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30
ECTS კრედიტები		**სემესტრში**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**
		სასწავლო წელს	**60**		**60**		**60**	